გიორგი ჭაუჭიძე

ინტერვიუ

ჭიანჭველასთან

კითხვის დონე – 5.1 (ქართული ენა როგორც მეორე ენა)

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისორეხვიაშვილს,რომლებმაცპაატაპაპავასხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

გიორგი ჭაუჭიძე

ინტერვიუ

ჭიანჭველასთან

– გამარჯობა! რა გქვია?

– გაგიმარჯოს! მე ვარ ჭიანჭველა ჭანჭარა.



– სად ცხოვრობ?

– მე ვცხოვრობ ჭიანჭველების ბუდეში. ეს ბუდე დიდ მინდორშია, ერთი მუხის ქვეშ... ისე, ჭიანჭველები ყველგან ვცხოვრობთ, მთელ დედამიწაზე. ყველა კონტინენტზე ვცხოვრობთ ანტარქტიდის გარდა.

— რამდენი ცხოვრობთ თქვენს ბუდეში?

— ოო, ჩვენს ბუდეში ძალიან ბევრი ვცხოვრობთ. არც ვიცი, ზუსტად რამდენი ვართ...

— რას აკეთებ დილით?

— დილით ადრე ვიღვიძებ და ბუდიდან გარეთ გავდივარ. სამუშაოდ მივდივარ. სახლში საჭმელი მიმაქვს.

— ძალიან კარგი! რას აკეთებ შუადღისას?

— შუადღეზეც ვმუშაობ და საღამოსაც...

— საჭმელს როდის ჭამ?

— საჭმლის ჭამა მუშაობის დროსაც შემიძლია...

– რამე უცნაურის გაკეთება თუ შეგიძლია?

– მე შემიძლია ამ ფიცარზე გავიარო. ოღონდ ქვემოდან: ფეხები – ზემოთ, თავი – ქვემოთ... შენ შეგიძლია?

— არა, ასე ხომ ჩამოვვარდები!.. რას ჭამ? რა მოგწონს ყველაზე ძალიან?

— ყველაზე მეტად მომწონს შაქარი. მომწონს მკვდარი მწერებიც... ფოთლებსაც ვჭამ... დედამიწის ყველა ჭიანჭველა ერთად უფრო მეტ საჭმელს ვჭამთ, ვიდრე ყველა ლომი, ვეფხვი და მგელი.

— მართლა? არ ვიცოდი... როდის იძინებ და რამდენი ხანი გძინავს?

— ვიძინებ ღამით. სულ სამი-ოთხი საათი მძინავს.

— ყოჩაღ! ძალიან საინტერესო ცხოველი ყოფილხარ... თან ძალიან პატარა ხარ...

— კი, პატარა ვარ. მაგრამ შენ იცი, რომ დედამიწაზე რაც სპილოები ხართ, უფრო ცოტას იწონით, ვიდრე ჭიანჭველები?



— არა. არ ვიცოდი... საინტერესოა... უფრო მიხარია შენი გაცნობა. მადლობა ინტერვიუსთვის! ნახვამდის!

— მეც მიხარია. მომავალ შეხვედრამდე!